პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 27 სექტემბერი 1925წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეშმაკის მათრახი

№ 18—(21) გაზ. „მუშა"-ს ორკვირეული უფასო დამატება. № 18—(21)



მთლიანი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სამეგრელოს ღერბი.

რომელიც ეკუთვნის თადა აშორდიას აზროვნებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მაფალუ"—„ნოთე"

(„ავტონომისტების" მანიფესტი)

ჩვენ ვიცით: ჩვენს საქმეს მტრები აღმოუჩნდება, მაგრამ ეს ჩვენ არ გვაშინებს.

ჩვენ ვიცით: მოვლენ ჩვენი მტრები და შეუდგებიან მტკიცებას, რომ ჩვენი მოთხოვნილება მართლაც სისულელეა, მაგრამ ჩვენ არ გვაშინებს სისულელე... დეე, ჭკუიანებმა ის სთქვან, რაც მათ უნდათ—ჩვენ კი არასოდეს არ დაუჯერეთ

ჩვენ ვიცით: ისინი აამეტყველებენ ფაქტებს, მაგრამ ჩვენ იმათ ფაქტებს გავანიავებთ ჩვენი დაფბობით.

—:—

სამეგრელოს დამოუკიდებლობა ყოველმხრივ ხელსაყრელია ჩვენთვის, მაგრამ ჩვენთვის უველაზე უფრო სასარგებლოა ეკონომიურ-მატერიალურ მოსაზრებით.

მოგეხსენებათ: ჩვენში ბევრი არიან ყოფილი თავადები. ისტორიის წალმა ტრიალმა თავადაზნაურობა მიწასთან გაასწორა.

ეს კიდევ არაფერია.

აღარ შეგვრჩა მიწა-წყალი.

გავფლანგეთ მთელი ქონება.

არც პოლიტიკურ ასპარეზზე გაგვი მართლდ იმედები.

## „მაფალუ"-სტების ფიცი თადა აშორდიას საფლავზე



ვფიცავთ „წმიდა გიორგის" რაშს, რომ ჩვენ არ ვუღალატებთ შენს დაწყებულ დიად საქმეს და სამეგრელოს განთავისუფლებთ თავისუფლებისაგან.

ვიფუჩანთ „წმინდა გიორგი"-შ რაშის, ნაგდა ჩქი ვაულალატენი, სქანი დოჭყაფილი სატჩულ საქმეს და სამარგალოს გუანთავისუფლენთ თ ვისუფლეშამდე.

როგორც იყო, ზოგი ჩვენგანი გაჭირვებით და ათასგვარი ხრიკებით შევძვერით პარტიაში—მაგრამ როგორც კი გაგვიცნეს, მაშინვე პანღურით გამოგვისტუმრეს.

დავრჩით ხახამშრალი.

ცხოვრება კი თავისას თხოულობს.

კუჭს საჭმელი უნდა,

ყელს ღვინით ჩასველება—

საარსებო წყარო კი დამშრალია.

მიეცით სამეგრელოს დამოუკიდებლობა.

ჩაგვაბარეთ მასი ბედ-იღბალი ჩვენ, ძველ ბრწყინვალე თავად-აზნაურობას, და სულ ახლო ხანში **ჩვენი** ეკონომიურ-მატერიალური მდგომარეობა ძირიან-ფესვიანად შეიცვლება, წელში გავმაგრდებით, **ჩვენს** მდგომარეობას ისე აგიწევთ, რომ არა თუ ომისწინადროინდელ მდგომარეობას მივაღწიოთ, არამედ, კიდევ მეტი,—ბატონ-ყმობისდროინდელ მდგომარეობას გაუთანასწორებთ.

—:—

დღეს მრავალი უმუშევარი და უსაქმო თავადები და აზნაურები ბუზებს ჭყლაპავენ, მშიერ მგლებივით დაძრწიან ერთი კუთხიდან მეორეში, ქუჩების ტკეპნით ფეხის გულზე ტყავი გადასძვრათ.

ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობს უმუშევრობის შემცირებას, აწარმოებს უმუშევრობასთან ბრძოლას, დახმარებას უწევს უმუშევრებს...

—:—

და აწორედ—თუ სამეგრელოს დამოუკიდებლობა მიეცემა, თავად-აზნაურთა უმუშევარი ლეგიონი მოაკლდება სრულიად საქართველოს თავად-აზნაურთა უმუშევარ არმიას.

ამასთან ერთად, საქართველოს ყოველ კუთხიდან ჩვენ ჩამოვიყვანთ სამეგრელოში და დავასახლებთ მთელ საქართველოს თავად-აზნაურობას. მათთვის მიწების და ყოველივე ხარჯების მიცემას იკისრებს ჩვენი ბრძანებით სამეგრელოს გლეხობა, რომელსაც ახლა გადაცემული აქვთ ჩვენი მიწები ჩვენი სურვილის გარეშე არსებულ კანონების ძალით.

ამით ჩვენ ერთგვარ დახმარებას და სამსახურს გაუწევთ საქართველოს მთავრობას, რომელსაც აღარ შეაწუხებს გაჭირვებაში მყოფი ბრწყინვალე წოდების შთამომავლობა; სამეგრელოს ჩვენ გადავაქცევთ საბჭოთა ხელისუფლების მტერთა და ორგულთა სავანეთ.

დღეს მთავრობა მავნე პირებს სდევნის, მაშინ კი ასეთ პირებს ჩვენ წავიყვანდით სამეგრელოში, სადაც ისინი ჩვენთან ნახავდენ მშობლიურ თავშესაფარს.

—:—

როცა სამეგრელო დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდება, მას დასჭირდება თავისი მინისტრები, რომლებადაც ვიქნებით სრულიად სამეგრელოს ბრწყინვალე (დღეს კი გახუნებული) თავად-აზნაურობა...

და თქვენ კარგად იცით, რომ: ინგლისში და, საერთოდ, ყველა სახელმწიფოეში, მინისტრებს რა დიდი ჯამაგირი აქვთ. ხოლო, როცა დიდი ჯამაგირი აქვს კაცს, (როგორც მაგალითად „სპეცებს"), იგი უკეთესად ცხოვრობს, ვიდრე უმუშევარი.

ამგვარად ამტკიცებს იმისა, რომ—ეკონომიურ-მატერიალური მოსაზრებით ჩვენთვის, თავად-აზნაურობისათვის, სამეგრელოს დამოუკიდებლობა თითქოს საზარალო იყოს,—უსაფუძვლოა; პირიქით—როგორც ზემოდ ეს ვთქვით, ერთადერთი ხსნა მხოლოდ ამაშია, თორემ ჩვენი საქმე დაღუპვის პირზეა მისული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამეგრელოს ეროვნულ მოძრაობის ბელადები

## მამულიშვილურ და ეროვნულ მოღვაწეობას ეწევიან



თ ა მ ა დ ა. თუ კი გვეღირსა სამეგრელოს დამოუკიდებლობა, ქეიფი და დროშ ტარება მაშინ ივითხეთ, გიყვარდეს ჭამა და დროს ტარება. გდებს იმდენს ურტყამთ ზურგზე, რამდენიც რუსის ბარაბანს არ მოხვედრია.

ქიგედარსუ სამარგალოშ დამოუკიდებლობაქ—და თიმჟკუმა უჯგუნ სი ჩქინ ქეიფის დო დროშ ტარებას. ყაზ ხენს თისხაშ უზეპუანთ მათრახის, ჟუზმათ რუსიშ ბარაბანს ვამოხვალამუდას.

ახლა საკითხი გავაშუქოთ „ისტორიულ საბუთებით“.

ჩვენ ვამბობთ და ვამტკიცებთ, რომ „ჩვენ არასოდეს არ ვყოფილვართ ქართველები“.

მართალია: ჩვენ (მეგრელები) და ქართველები ქალდეაში ერთად ვცხოვრობდით, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ჩვენ ორივე ერთ მოდგმას, ერთ ეროვნებას ვეკუთვნოდეთ. რა უყოთ, რომ ერთად ვცხოვრობდით!! განა ეხლა თბილისში ბინების სივიწროვეს გამო, ხშირად თათარი, ეიზელბაში და ქართველები ერთად არ ცხოვრობენ! მერე რაო, განა ამიტომ ისინი ერთი ეროვნების ხალხათ უნდა ჩავთვალოთ?!

მეგრელები ჯერ კიდევ ქალდეაში ვცდილობდით საქართველოდან გამოყოფას. ჩვენ იქაც მათ ძალმომრეობის ქვეშ ვიტანჯებოდით. არაერთხელ გვიცდია აჯანყება მოგვეწყო მათ წინააღმდეგ, მაგრამ ვერ ვახერხებდით, რადგან მათი გზირები ყოველთვის გებულობდენ ჩვენს შეთქმულებას და, თანაც, თანამგრძნობთა რიცხვი, როგორც ეხლა, მაშინაც მარცხენა ხელის თითების მეტი არ იყო.

ბოლოს, როცა აუტანელი შეიქნა ჩვენ წინაპართა იქ ცხოვრება, ავიღეთ ჩვენი ბარგი-ბარხანა, დავტოვეთ ქალდეა და დავსახლდით შავი (მაშინდელ პონტოს) ზღვის ნაპირებზე.

ქართველები თავიდანვე იმპერიალისტური ზრახვებით იყვენ სახელგანთქმული! ისინი ყოველთვის ტყავს გვაძრობდენ და ჩვენი ბარაქით ცხოვრობდენ. ამიტომაც, ჩვენს შემდეგ ისინი დიდ გასაჭირში ჩავარდენ.

აი რას მოგვითხრობს ამის შესახებ მატიანე:

„ქართუელთა ყოფა გაჭირდის უმეგრელოთა... ქართუელნი მიდიან კოლხეთის ქვეყანას დასაპყრობათ მეგრელთა, რომელნიც იყვნენ უწინა ჟამსა მორჩილნი მათნი. (აშორდიას ნაშრომი: „მეგრელები სამეგრელოსათვის“. ტომი XX, გვ. 100).

მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ მეგრელების შემდეგ დღევანდელ საქართველოში მოსულან ქართველები, დაუპყრიათ სამეგრელო და ისევ დაუდვიათ მათთვის მონობის უღელი.

ამგვარად, სამეგრელო უხსოვარი დროიდან ყოველთვის საქართველოს უღელს ატარებდა.

—:—

ჩვენ გვრწამდა—ოდესმე დამყარდებოდა ისეთი დრო, როცა ჭეშმარიტება და სიმართლე გაიმარჯვებდა ქვეყნად.

ეს დრო ახლა არის.

ამ სანატრელ დროის წინამორბედი იყო სახელოვანი, სამეგრელოს მამულიშვილი თადა აშორდია, რომელმაც პირველმა ააფრიალა სამეგრელოს დროშა.

სახელმწიფოებრივი სახე საქართველოს მეგრელებმა მოგვეცით.

ჩვენ, როცა აქ მოვედით ქალდეადან, შევუდექით თავისი სახელმწიფოს შექმნას. შევქმენით ჩვენი ცხოვრების წიაღიდან დერბი, რომელიც, შემოსვლის შემდეგ, ქართველებმა თავის დერბად მიიღეს.

ეს დერბი არის—„წმინდა გიორგი“.

ჩვენ მეგრელები (და მეტადრე მეგრელი თავად-აზნაურობა) ისტორიაში განთქმული ვართ, როგორც ცხენის მოყვარული კაცი, კარგი მოჯირითე და კარგი ცხენოსანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიფრთხილეს თავი არ სტკივა



ხარაგაულის აღმასკომმა განკარგულება გასცა: ვინაიდან ბაზრიდან სადგურში გასავალი ხიდი მეტად დაზიანებულია, ამიტომ ცხადდება ყველა მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ — დატვირთული და არც ცარიელი ურემი ამ ხიდზე არავინ გაატაროს. დასაშვებია მხოლოდ — თუ ურემს ხიდზე გლეხები ზურგით გადაიტანენ და ხარებს ფრთხილად გადაიყვანენ. დამრღვევი ამ დადგენილებისა პასუხს აგებენ მთავრობის წინაშე

თვითონ „წმიდა გიორგი" მეგრელი იყო, რაც სჩანს იქიდან, რომ იგი დევზე გამოხატულია ცხენზე შემჯდარი. (ხალხში გადმოცემაც არის — თითქოს „წმიდა გიორგი" ზუგდიდელი მოქალაქე იყოს).

ეს იყო წარსულში.

ახლა ავიღოთ, თუ გნებავთ, აწმყო.

პარიზში გიორგი გვაზავას და სპირიდონ კედიას თაოსნობით არსებობს „თეთრი გიორგი"-ს დარბაზელთა პარტია.

ჰა, ვინ შეგვედავება რომ — გიორგი გვაზავა და სპირიდონ კედია მეგრელები არ არიან!?

— —

ახლა მეორე საკითხი. რევოლუციონური სამეგრელო თავისი კონტრ-რევოლუციონური თავად-აზნაურობის წინამძღოლობით მოითხოვს ისტორიისაგან ანგარიშის გასწორებას. არ ვსთხოვთ პროცენტებს, ხოლო თავნი გადაგვიხადოს.

| მთლიანი და განუყოფელი სამეგრელოს დამკომი (დამოუკიდებელი კომიტეტი). | დადიანი მიშა<br>ბუკონია ციბაკი<br>ახალაია გრიგოლ<br>ბეჟერია სოლომონ<br>ბუკია ვლადიმერ |
|---|---|



## „წმინდა სამება"

სინაკისტანი...
ზუგდიდისტანი...
ძველ დადიანის
ზურგი და ტანი.
გესულთადაც
სადმე თუ კია —
იქვე გაჩნდება
თანვე ბუკია —
და ამ სამებას,
თან ერთარსებას
მრავალთ სხვებიც
მიეტმანება
და გამოცხვება,
როგორც ლომია,
მეგრელისტანის
ავტონომია!
დიდება შენდა
ზურგაულიძევ,
რომ სიტყვა მოკვდები,
ან რა მიშავსო?!
აწ განმიტევე
მე, მეუფეო,
რადგან მომკვდარებთ
ვტოვებ მიშასო!
„გათენდა ყველგან,
გათენდა, მაგრამ
სამეგრელოსთვის
დღეს დღეც კი ბნელა —
სულს გვხდის, ტყავს გვაძრობ
ჩვენ საქართველო,
მეფის ტრაქტატმა
თუ არ გვიშველა!"
ან, ეს გახლავთ
„წმინდა სამების"
არგუმენტები და
პეტიცია —
თქვენ მათ მიართვით
ავტონომია
და „თავის მოვლა"
თვითონ იციან:

მიშა იქნება
„პრედსოვნარკომი",
შესულია კი —
„პრედოდამშციკა",
ჰო — და, საცა წეს
ორი იქნება,
ალბათ ბუკიაც
გაჩნდება იქა.
და დამშვენდება
მაშინ ოდიში,
და დამშვენდება
მეგრელისტანი —
ისე დამშვენდა
„წმინდა სამების"
აწ უწმინდური
თავი და ტანი!
მიეცით ნება
და ხალხის დოვლათს
„წმინდა სამება"
გაიყოფს სამად —
ამათ ზუგდიდი
ფეხქვეშნათ არ ეყოფა,
ხოლო სინაკი
კი შეეჭმადათ.
სწორედ ამაზე
ვფიქრობდით დღემდე,
სწორედ ამაზე
ვოცნებობდით დიდხ —
რომ სამარიდან
წამოვაყენოთ
ფასტორეგოვები
და აშორდით!
ასეც მიეცა
კენესა დადიანს,
ისეც მიეცა
ოხვრა ბუკიას
და ვინც ჰქონდეს
ბუსლიერისაც,
აწ სამართალი
სადმე თუ კია!

ფხიზელი.

# ჯვაროსანთა ომი

„სტოკჰოლმში მთელი საქრისტიანოს სამღვდელოებამ „მოიყარა" თავი. ყრილობას მეორე ინტერნაციონალის ბელადებიც დაესწრენ. სამღვდელოების „ინტერნაციონალის" უმთავრესი დანიშნულებაა კომუნიზმთან ბრძოლა". (გაზეთიდან).



ერთ ხელში ჯვარი უპყრავთ და მეორეში ხმალია.
მიდიან, მიიმღერიან: —ჩვენ ატვრის-ოწის ალაა.
თამამად წავალთ ბრძოლაში, არ ვართ მშიშარა, ფრთხილი.
უნდა დავიცვად ამ ქვეყნად წესი და სამართალია.

იმათ არ წყალობს უფალი, არც ქრისტე მაცხოვარია...
ჩვენ კი გვფარველობს და გვწყალობს მათი მადლი და ჯვარია.
„სოციალისტნი" თან გვახლავთ, ჩვენ დავგამშვენა მხარია.
ჯვრითა და ხმლითა დავიპყროთ, ვინც რომ ქვეყანა არია.

# მაკლერების სამეფო

(გაგრძელება*)

ისტორიული ტრაგედია 5 დაუსრულებელ მოქმედებად

სრულიად საქართველოს მაკლერთა მორიგი კონფერენცია, რომელიც შესდგა ქალაქ თბილისში

### პირველი მოქმედება

ცნობები გაზეთებიდან: მაკლერებმა ერთ მშვენიერ დღეს სახელგანთქმულ სულთან მიხოს მთავარსარდლობით, მიიტანეს ლმასკომზე გადაწყვეტი იერიში. აიღეს მრავალი განყოფილება და ბოლოს მიადგნენ საბინაო სექციას. საბინაო სექციამ, სცნო რა თავისი უძლურება, როგორც უბინაოთა დაკმაყოფილებას, ისე მაკლერთა ძლიერების წინაშე, ნებაყოფლობით დაემორჩილა სულთან მიხოს დებულებას და მტრებს პურმარილით მიეგება. ამ დღიდან საბინაო სექცია დაშლილად გამოცხადდა. მაკლერთა მინისტრებმა ხელთ იგდეს თბილისის უმთავრესი პუნქტები.

უკანასკნელს ხანებში მიხო ავად გახდა. ინჟინრების დიაგნოზიდან სჩანს შემდეგი: სიცხე—210°, მაჯისცემა—230 წამში; ექიმებმა გადაუწყვიტეს სიკვდილი ერთი თვის ვადით, რის შემდეგ გაჯანსაღებული სულთანი მიხო ისევ შეუდგება მუშაობას.

კონფერენცია შესდგა მაკლერთა სამინისტრო დარბაზში; თავმჯდომარეობდა მარია პავლოვნა;

#### დაკლად მარიი პავლოვნი

(რუსულ-ქართულად)

Многоуважаемые господа, მაკლერნო! Вы мне поручили მოლაპარაკება у Исполкома, მე გულმოდგინედ исполняла ჩემს მოვალეობას. ბოლოს როგორც იქნა ავიღეთ ლმასკომი და ჩვენ გავაფართოვეთ ჩვენი გრანიცები. თქვენც გეცოდინებათ, რომ სულთან მიხო მოკვდა ერთი თვის ვადით. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ უნდა ვეცადოთ რაც შეიძლება მეტი ოთახები შევიძინოთ. მალე მოვა სუსხიანი ზამთარი, რომელიც ბევრს უბინაოს უტირებს დედას. თითო ოთახში ავიღოთ არა ნაკლებ ხუთი ჩერვონეცისა, რითაც ვუშველით და ვიხსნით საბრალო უბინაო ხალხს. ეს არის ანდერძი დროებით განსვენებულ, უკვდავ სულთან მიხოსი. Да здравствует наш новый план для улучшениа жизни беспомощных людей. (უსთკა უკრავს მარშს: „ინტერმაკლერიონალ". ს.

#### დოკლად ხარინ-ხარინა

ტავარიჩი გასპადა! ჩვენი საქმე პაკა იდიოტ პო შოსეინოი დოროგე! ნა გლავნსკი პრისპექტ დაკავებულია ყველა ადგილები. რადგან იმერეთი გვიგზავნის აუარებელ უსაქმურებს, რომელთაც ყველას უნდათ უნივერსიტეტში შესვლა.

ვერ გამიგია რა უნდათ ამ საბრალო გოროდში. მორბიან ნახარივით, თითქოს აქ ფლავს არიგებდნენ.

*) იხ. „ტარტაროზი," № 18.

#### დაკლად მინისტრი ივანოვა

მე ვიტყვი კარტულად. ტკვენ კარგად იცით, ჩიტო ტიფლის მალე აპეტკტება. სად გაგონილა ამდენი ხალხის ერთს კალაკში კოფნა. უნდა მივიკოთ კოვილკვარი ზომები და ლიკვიდიროვატ ეტიხ სუმაშედშიხ კურსისტკოვ! არ სჯობდა სოპელში ბატები ეწყემსა! ჩამომწკრივდებიან კებაძის წინ... ზენი კებაძე პლაჩეტ, პლაჩეტ და არ შეუძლია გაწდევნოს ეს უსაქმო ძაღლები. ყველას უნდა კომნატი, სამსახური, პური, ლორიგანი, კარგი ბიჭები და სხვა.

## სულთანი მიხო—„პროპკა"



გასეირნების დროს, როცა თაგვსავით დ ძვრება და დაეძებს კლიენტებს

#### მაფალისტი

„ნილევო, ი ნაპრავო, ვეზდე მეგრელები... სრულიად სამეგრელოს დამოუკიდებელ რესპუბლიკის სახელით გიბრძანებთ ეხლავე დაიშალოთ, თორემ ყველას თითოთითოს გატირებთ დედის საფლავს. ია სვაბოდნი ჩელოვეკ, დავიბადე სვაბოდნი მინგრელიაში. რას მიქვია გრუზია! კ ჩორტუ ვსეხ გრუზინ! გაუმარჯოს ნითეს, მაფალუს, აშორდიას, ბოკონიას, ახალაიას და ბესელიევს. ვსე ანი ვიბორნიე ნახალი, ვიბორნაი ნახალსტვა... (მღერის).

ჩქიმი ნოთე და მაფალუ
მკუა შური ვამაპალუ
ორერაშია, რაშა, რაშა
არ გამოცვალო ძლაბო შხვაში
ეჩეხელი ვარდა, ვარდა
დადიანს აქვს კარგი მადა.

აჰა პური და მარილი... [illegible] მაძლევს ატამს... არ დამივიწყებთ [illegible] ქათამს... ურრააა! როგორც იქნა გვეღირსა თავისუფლება...

#### მინისტრები

უკაცრავად, ბატონო! ხელს ნუ გვიშლით!.. ჩვენ აქ სახუმროდ არ მოვსულვართ. რამდენი ხანია ჩვენც დამოუკიდებლობისთვის ვიბრძვით—და ბოლოს ვეღირსეთ როგორც იქნა.

#### მაფალისტი

თქვენც დამოუკიდებელი ხართ? თქვენი ჭირი ჩქიმი გურსი... როგორ მეხარება გაგიხუქებიათ თეძოები. იფ! იფ! აი თქვენთან კი იქნება ხეირი ძლაბებო! თქვენ რა ზვანის ხალხი ხართ?

#### ხარინ ხარინა

ჩვენ უბინაო ხალხს ვაძლევთ ოთახებს.

## სულთანი მიხო—„პროპკა"



საზამთრო ტანსაცმელში წოკლე და გაფხეკილ თეთრ ნაბადში.

#### მაფალისტი

ო, თქვენ კი დაგენაცვლოს ჩხოუშია, ხობი, ნოღა და ყველა მდინარეები დამოუკიდებელ სამეგრელოსი.

ჩვენ გვინდა მოისპოს მთელს საქართველოში ყველა ენები, გარდა მეგრულისა! ჩვენ გვინდა დავამყაროთ ყველგან თავისუფლება და კულტურა. ჩვენ გვინდა შევქმნათ მეგრული ანბანი, ჩვენ გვინდა აღვადგინოთ ჩვენი ეროვნული უფლება, ი ბოლშე ნიჩევო. შოთა რუსთაველიც მეგრელი იყო, ბიძია, ნაღდი მეგრელი.

(ამ დროს შემოირბის გააფთრებული სულთანი მიხო, რომელიც რაც ძალი და ღონე აქვს, ხმალს იქნევს და თან ბღავის.)

#### სულთანი მიხო

ვინ არიან? რას ჩმახავენ? ისინი ქმნიან სისაძაგლეს! ვფიცავარ სულს გეპარსულ

# სულტანი მიხო—„პროპკა“ თავის არამხანაში



მის უკან ჩამწკრივებულან მაკლერშები, რომლებიც ელოდებიან განრისხებულ სულტან მიხოს ბრძანებას. კლიენტები მოდიან, ჩერვონცები მოაქვთ და თაყვანს სცემენ.

ადგაუპარსავ ჩემი მამისას, რომ არ დავზოგავ არავის. თუმცა ტანი მაქვს ძლიერ პატარა, მაგრამ მარჯვეა ჩემი ხელი.

მე, მახელ, რომელმაც დავიპყარი მთელი თბილისი, დღეს აქ შემოველ, რადგანაც სიკვდილით მემუქრებიან... (დაინახავს მეფელისტს და ეტყვის) ვინა ხარ შენ? ეგებ გინდოდეს კარგი ოთახი!

მეფელისტი

სრა, პატრონი! ოთახი კი არა მე ისე ტყვილად გეახელი. მე გახლავარ მარგალი კოჩა, წარმომადგენელი სრულიად სამეგრელოს დამოუკიდებლობისა; მინდოდა თქვენთან კავშირის დაჭერა, სასარგებლო კაცი ხარ და რამეში დაგვ ხმარებოდა.

მიხო

შენ?.. შენ! მეფელისტი ხარ? აპა... მაფელისტიკა... რგა ხელობა გქონია. შეგვიძლია თქვენი შემოერთება!

მეფელისტი

უა, სი ქოგგალე მა ჩქიმი ხენწიფე! აწი რა გვეჭირს. თქვენი რედაქტორობით შეგვიძლია გამოუშვათ ჩვენი ძკირფასი გაზეთი „ნოთე“. ამ დროს მოისმის ხმები:

არ გაუშვათ ის საძაგლები!..

მიხო (თავზარდაცემული)

უკანასკნელი წუთი მომიახლოვდა! თამამად, მიხო... მედგრად მაღალო! სანამ დულს ჩვენში სისხლი მამულიშვილური, ვებრძოლოთ ჩვენს მტრებს!

მშვიდობით სახლნო ჯილოსანნო,
დიდნო ოთახნო;
ჩერვონცის სუნო და მაკლერთა
დიდო სასახლევ;
სჯობდა თითეულს არამზადას
დაეკორტნა, ჩემი სხეული
ვინემ მომსპობდენ.

ტარტაროზის კუდი.

# ქუთაისური იდილია

მთვარე ვერცხლისფერ ნაზ სათუთ სხივებს
ყვავილთა ცვარში ფრთხილად ჰფენავდა,
მუსიკის ბგერა ისმოდა ნელა—
აჯადოსნებდა სურათს ვერანდა.

მწკრივად გაჰკროდა ჭიქები სუფრას,
ვითვარსკვლავები ულრუბლო ცაზე—
და იდუმალი ხმით ღიღინებდა
რაინდი ურმულს „მარუსას“ ხმაზე.

როგორც ფიქვნარი კურორტი შოვის
აშოლტილიყვენ ბოთლები ისე—
ვნებით ღელავდა აწ ქუთაისი
ერთ დროს „სავარდო და სამაისე“.

უ, ვილაც არღვევს აქ მყუდროებას.
გაისმის ხმები—„ვაშა“ და „ბრავო!“
—შენ კი, რათა ხარ სკამზე მიკრული
უხასიათოდ და უმოძრავო!

დაასხა ღვინო, დაასხა მეთქი.
გუშინ ვცოცხლობდით, მოვკვდებით დღესა!
ამხანაგებო! დაუგდეთ ყური
„რეჩს“ ამბობს, გესმით, თვით ჩვენი პრესა.

რაო, არ ამბობ? მიბრძანეთ ერთი,
მა რა ფეხების სეკრეტარია?
როგორ—მთვრალია კარგა მაგრათა?
და მერე განა ეგრე დალია!?

მაშ კარგი, ისევ მღერა ჯობია...
აბა, დაიწყე შენ ჩემო მეტრო—
თუმცა ტანი გაქვს ჩია, პატარა,
მაგრამ გოგრა გაქვს შენ საშინისტრო!“

გაისმა „დელა“ და კრიმანჭული,
წამს ახმაურდა მთელი ვერანდა...
მთვარე კი, მთვარე ვერცხლისფერ სხივებს
ეხლაც ყვავილთა ცვარში ჰფენავდა.

გათავდა მღერა.—ამხანაგებო,
ხომ არ გგონიათ თქვენ თავი დუქნათ?
კოოპერატივს შეშვენის ფრიად,
როგორც სიმღერა, აგრეთვე ბუქნა.

ჰო და ლეკური, ლეკური ჩქარა,
ან უზუნდარა ჩანგლებით, დანით—
სავსე ჭიქებიც დაიდგას თავზე
ვინც არ ირხევა ცეკვის დროს ტანით!

გადმოშპა სკამით ყრმა თამახუხუშ,
შეიქნა ბუქნა და უზუნდარა—
კვლავ „ოჩერედში“ მრავალი იდგა,
მაგრამ... ამ ჟამად გვეყოფა, კმარა...

მთვარე ვერცხლისფერ ნაზ, სათუთ სხივებს
ყვავილთა ცვარში ტრფობით ჰფენავდა—
მუსიკის ბგერა ისმოდა ნელა,
აჯადოსნებდა სურათს ვერანდა.

ლაღათ დაჰქროდენ ყვავილთა შორის
პეპლები ცელქი, კოხტა, ანცია...
და ეძლეოდა განცხრომას ბოლოს,
ყოველი დარგი და ინსტანცია!

მეტა.

# კულაში

თავმჯდომარეს გლეხკომისას ჭუშვენის დამით სმადა და ღხენა.
ქეიფის ჟამს, როცა ცეკვავს ხელგაშლილი მაღლა ფრენა,
როცა ერთხელ ლეკურითა მან მიდამო დაამშვენა,
სთქვენ:—მის ქებას ვეღარ აღწერს კალამი და კაცთა ენა.

—:—

მოვიხსენიებ ათეისტს ექიმის კაბინეტითა,
სადაც ყოველ წელს იცვლება ექიმი ფარმაცევტითა,
აბრუნებს მათ ეს სოფელი სიჩქარით მეტისმეტითა,
ვერ ძლებს პუნქტში მოსული კულაშის თემის ცქერითა.

—:

მცირე ხნის წინეთ ამ პუნქტში გრძნობებით აფეთქებული,
იყო არქიფო ექიმი ქალებში სახელქებული.
შავთმაწარბა და ლამაზი, ცოტათი შესუქებული,
ვენერის ტრფობის სხივითა გონება გაშუქებული.

—:—

აწ მივალ, სადაც გადმოწვეთს მეცნიერების ნამია,
უწინ აქ მასწავლებლობდა სულ ხუთი მარიამია,
მაგრამ აწ მათგან მხოლოდ-და გადარჩენილა სამია,
ამით გვაქვს ნება ვიფიქროთ: დგება წაწყმედის ჟამია.

—:—

ვფიქრობ დაიხსნის ქვეყანას აქ მეოფე სამღვდელოება,
გასაკუთრებით მელიტონს ამშვენებს დღეს სათნოება,
მაგრამ, რომ წვენი არა აქვთ მაკრთობს ეს გარემოება,
ნუთუ სრულიად დაიპყრობს დღეს კულაშს ურჯულოება?!

—:—

კულაში ქალნი შემოკრბნენ, ამაზედ ჭქონდათ ცილობა:
—ჭუშვენის თუ არა მელიტონს მღვდლობისგან გაკრეჭილობა?..
რადგან მიჭბაძ, სხასა, იხმარა დიდი ზრდილობა,
ჩვენც ნუღარ შეურისხდებით, გვმართებს ეს გულკეთილობა;

—:—

მას წინა დროშიც ჭუშვენოდა ქალებთან გასეირნება,
გულში დაფარულ გრძნობათა იდუმლად შეტყობინება.
მხოლოდ, რის იმ წვენს დალევდა, რაც ნოემ ერთხელ ინება,
უყვარდა ვაშლის ბაღისკენ ხელების წაპოტინება.

ანაფორა უორნის ჭქონდა და ეწადა ბულბულობა;
როცა ვარდებს იხილავდა სწვავდა ტრფობა [illegible],
გული ჭქონდა სამიჯნურო, ცოდვა იყო მისი მღვდლობა
და მის გამო ვინც გაკრიჭა—გვმართებს ვუთხრათ მას მადლობა.

—:—

აქ იყო აგიაშვილი ვინმე გიორგით ხმობილი,
ნაქები პედაგოგობით, მასთანვე მგოსნათ ცნობილი,
ბატონი სევერიანეს და ჩარგაზიას ძმობილი,
ვენერის მიმდევართათვის გვირგვინად ჩამოდნობილი,

—:—

მისთა ჭვრეტითა მისითა გულს შუქი მოეფინესა,
რა მიდის მისი ნათლითა მიდამო მიიცინისა;
ტანად „ლომსა“ ჭგავს პირად „მზეს“ გული აქვს „კლდისა ტინისა“
მხარბეჭი „ტარიელისა“, ხელობა რასპუტინისა.

—:—

კულაშს უოფნის ჟამს უყვარდა ძრომა აქა-იქ ღამითა,
ბნელ ხვეულებში ნახავდით გამოსულს თავის დანითა.
ლხინის დროს ღვინოს არ სვამდა ყანწით და ლილის ჯამითა,
ეწადა ფხიზელს მთვრალებში რომ ესარგებლა ამითა.

—:—

სურდა რომ ვარდებს ბაღებში როგორმე შეცოცებოდა,
სხვა ვინმე ამას თუ იქმდა უკვირდა, ეოცებოდა;
თვით კი ტრაფობისგან ნადენი ცრემლი არ ეხოცებოდა,
კაბის ქვეშეთში შემძვრალი იდუმლად ილოცებოდა.

—:—

გულში მეოფე ტრფობის ცეცხლი იკვრებოდა ლექსთა კონად,
ლექსსა სწერდა ხელგაშლილად, სჭვრეტდა გულთა დასადონად,
მისი გრძნობა ქალთ სინაზეს ესმებოდა ბელიკონად, *)
მათ ბაღნარში ვარდის კრეფა მისთვის ღირდა მილიონად.

—:—

ეს არის ქება კულაშის, ვსთქვი: ვინ, სად, რასა შვრებიან.
ზოგი თვის თვალით მინახავს, ზოგიც სხვათ შემკრებიან.
ხათრი მაქვს ზოგიერთების, რადგან მეც მეხათრებიან,
მაგრამ სიმართლეს ვერ ვფარავ, თუმც მისთვის მემუქრებიან.

ლარიხი.

*) სკიპიდარი.

# მიცვალებულის გასვენება

(ტობანიერის თემი)

ამ ჩვენი თემის ადათი
ნაქები არის ამათი,
რომ მკვდარი უნდა გასვენდეს
ფლავ ღვინით, სმა და ჭამითა.

სამი-ოთხი დღე მზადდება
მომარაგება ჭურჭლისა,
ახლო მეზობელთ ფუსფუსი,
გაშლა ოც საჟენის სუფრისა.

მეოთხე დღეს კი ურმებით
ნათესავ-მეგობრებითა
ივსება ეზო ცხენებით
და ახლო მეზობლებითა.

ბავშვებიც მარდათ დახტიან
ალსავსე სიხარულითა;
მათი ფიქრია—თუ როგორ
უბე აივსონ პურითა.

იწყება მოთქმა გოდება
და ულმერთობა უფლისა.
ცრემლი კი არცერთის არ მოსდის
გარდა თვით ჭირისუფლისა.

გადის დრო, ჟამი... იწყება
სუფრას მიწვევა სტუმართა:
ერთად სხდებიან თებრონე,
ბარბალე, კესა და მართა.

დალაგდა ყველა; სუფრაზე
მოდის ლავაში თხელთა,
მას თან მოჰყვება თეფშებით
თევზი და ფლავი ცხელია.

აქ მერიქიფეც მზათ არის
ღვინიან დოქით ხელშია,
ეპატიჟება სტუმრებსა:
ღვინო გადუშვან ყელშია.

შესანდობელი ამ ჭიქით,
თუ გინდათ მკვდრისა ცხონება.
სულ ჩადის ბოთლი ბორჯომის...
შენ დიდი ნუ გეგონება.

ჭამა სმა დიდხანს გრძელდება
ამბობენ სადღეგრძელოსა
და დიდი ჭიქა მოძიაობს,
რითარცა ბურთი ლელოსა—

ხმას უმაღლებენ სტუმრები...
ზოგი ქუჩაში გასული...
ზოგს მორევია „ბახუსი“
და სახლისაკენ წასული.

ეროვნული ბიბლიოთეკა




# იცოდე „ტარტაროზი" გაზ. „მუშა"-ს დამატებაა
# გამოიწერეთ გაზეთი

ზოგი მიმჯდარა ხის ძირში
გაშერილი შეწითლებული,
მსჯელობენ პოლიტიკაზე
ხმა მაღლა გაცხარებული.

მსჯელობის საგანს შეადგენს
საყდარი, მონასტერია,
ზოგი ემდურის კალინინს,
ზოგი კი მადლიერია.

—

გათავდა ქელეხ-სადილი:
დაკმაყოფილდა კრებული,
დრომ მოაწია, რომ აწი
გასვენდეს მიცვალებული.

მაგრამ სადღაა ის ხალხი
წელან რომ „ვაის" ყვიროდა?
ქუჩაში კოწიწ-კოწიწით
მღერიან „ვაშა რეროდას".

ძლივს ნახულობენ ათ ფხიზელს
პირისუფლისა ერთგულსა
და ასვენებენ საფლავზე
ექვსი დღის მიცვალებულსა.

ღამდება, ცეცხლი ინთება,
ქვაბით მშვენდება კერია.
ახალი სუფრა იშლება...
ახლა ხომ ძახურთ ჯერია—

გაკეთდა ცხელი რამ ფლავი,
სანექებო და სქელია.
სუფრას მიუსხდენ ყველანი.
თამადათ არის ქველია.

იწყება სმა და მოლხენა
ყველას უჩქროლავს გულია,
ლოცავენ პირისუფალსა,
მკვდარსაც უცხონეს სულია.

„აბა აავსე ის ჭიქა",
ყვირის თამადა ქველია,
ის ყურიანი წელან რომ
კოხტათ შევავლე ხელია.

ის გამოცალე შენ ჩემო,
და შენც, თედორე გაქელია;
მერმე შენ ჩემო, მიხეილ,
ჩემო ძვირფასო ნათლია.

ილომ დასცალა, თედომ კი
ნახევრამდისინ დალია;
სხვა ველარ შესძლო და იქვე
ტკბილათ დახუჭა თვალია.

მიხეილს უჭირს, ჯიუტობს,
ცოტა იმასაც უკლია,
რომ აიცილოს თავიდან
ძარს ჭიქას თავი უქცია.

თამადამ თვალი შეასწრო;
გაჯავრდა ჩვენი ქველია.
აჭაძა სილა ნათლიას
მწვავე და ერთობ ცხელია.

შემდეგ წამოხტა სუფრიდან
და დაეძგერა თედოსა—
მიზილ-მიზილა ისიცა,
რომ კვლავ არ გაებედოსა.

ამ გვარი ქელეხ-ალაპი
აქ, ტარტაროზო, შხირია.
და მე მგონია აქეთ ხალხს
თქვენი მათრახი სჭირია.

ლეხპინეშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩოხატაური

ყველა მხრით ბედნიერი ვართ,
არც არაფერი გვაკლია:
ჩითი, ნარმა და მიტკალი,
საზნისთვის ზამბა, პაკლია.

თხილი წელს ბლომად მოვიდა
ნარჩევი დანაკაკლია,
მაგრამ არ ითქმის—სხვა დარგში,
რომ არა გვქონდეს ნაკლია.

ბაზრობა ვიცით პარასკევს
მთლიანი რაიონისა;
რა გსურს, რომ აქ ვერ იშოვნო:
ყველი და შალი ონისა.

მინის და თიხის ჭურჭლები,
ტილკვესი ყალიონისა,
ნიჯახი, წალდი, ტარანი,
თოხი-სეფხეკი ლომისა.

შამოსავალად ითვლება
მთელ თემის ალმასკომისა,
ბაჟი ნაკრეფი ვაჭრებზე
ქართველი, თუ სხვა ტომისა.

სუნი დგას მყრალი ბაზარში,
ლაფში ამოსვრილ ღორისა.
სულ დაგვისვარა ქალები,
გამვრცელებელი ჭირისა.

მარტო სმა ჭამა არ კმარა,
სხვაცა გვაქვს საზრუნავია:
ზამთარი გვიახლოვდება,
გვჭირდება გზებში ნავია.

ნეტა რა უჭირს ალმასკომს,
რომ შეიფხანოს თავია!?
სოფლებში გზების კეთება
არ ეფიქრობ—იყოს ავია.

ბალინცის მუშებს გადაძვრათ,
ზურგზე და ხელზე ტყავია.
თუ დავასრულეთ—დაცოცხლეთ,
—ეს დარჩეს სანახავია.

ვინ იცის, იქნებ გაკურნოს,
მრავალი მომაკვდავია;
მაგრამ რად გვინდა და თუ ისევ
დაგვჭირდა გზებში ნავია.

ჯერ, ტრაქტორები არა გვაქვს,
მიწების მოსახნავია;
გლეხა ვართ, კიდევ გვჭირდება;
ურემი, ფარცხი, კავია.

და გზები, რომ შევაკეთოთ,
რა მაზრის საკითხავია?
არავინ გაგვიჯავრდება,
არ კოკვდება ჩემი თავი!

და, ალმასკომო, ისმინე,
გამოახილე თვალია,
ამაზედ ყველა მიირთმევს,
თუ დარჩა მოსათალია.

ოხმან ბლა.

## კბილის ექიმი ვარშავსკი

ყოველ დღე ღებულობს არაყს 4—5 ბოთლამდე.
შეგიძლიათ ყოველ დღე ნახოთ მთვრალი დილის 8 საათ. საღამოს 10 საათამდე.




ე ქ ი მ ი (ავადმყოფს, რომელსაც პირში კბილის ამოსაღები მარწუხი ჩაუტოვა ვარშავსკიმ, რადგან მოულოდნელად მოუნდა არაყის გადაკვრა).

**რა გაყვირებს? დამაცადე, ერთი ბოთლი არაყი გადავკრა, ძალა მომემატება და უფრო ადვილად ამოგილებ კბილს.**

# ბ ა ნ ძ ა

ტარტაროზო, ბანძა გელის,
ნუ აუთვნებ დღესვე წადი;
იცოდე რომ იქ დაგხვდება
გემრიელი ცხელი მწვადი.

— —

წვიმისაგან ლპება სკოლა
უპატრონოდ მიგდებული,
რადგან შრომა ეზარებათ.
(მაზეზია დიდებული).

— —

სამკითხველოს დღეს პატრონობს
გამგის ნაცვლად ძმა თვახურა;
არ ვიცი ეს დიდი კაცი
ასე ის რამ გაახურა?!

სამკითხველო საარშიყოდ
არასოდეს არსად თქმულა;
თუ ყოფილა სადმე ასე
,,ტარტაროზში'' გალახულა.

— —

ხიდეც ბანძის კარგი არის,
ვინც კი ნახავს გაკვირდება...
მაგრამ მგზავრი ვინც გაივლის
მისი მსხვერპლი გაგვიხდება.

,,გაიუგეს და გამოიუგეს''
შევიოტი, ზუდრ-ზამადა...
როცა გახდენ ,,საქმის კაცნი''
მათ გაეხსნათ ჭამის მადა.

ამბობენ რომ—ჭამასაც კი
როგორც სხვასა—ძალა უნდა...
ამას ჩვენ მათ ვაპატიებთ,
თუ ხალხიდან არ გახურდა...

მაგრამ ბანძას ვერას არგებს
ამხაირი ჩვენი შველა...
საქმე იქ არ გასწორდება,
სანამ მას ჭოვლობს მგელი, მელა.

უიმედოთ ნუ დაგვტოვებ...
თუმც საქმეა მეტად ცუდი,
მაგრამ შეგთხოვთ, ტარტაროზო,
რომ ამათსაც სტოლცხნო კუდი.

ქ. სორტელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ათანასე „სტუდენტი“



დაასრულა ტეხნიკუმი—სტუდენტია ათანასე.
შვილს თბილისში აგზავნიან ძილიხანი და მანასე.
არიგებენ:—შვილო ჩვენო, ჭკუით იყავ იქაც ასე.
„ინჟინერი“ ან „დოხტური“ გახდი, შრომა დაგვიფასე.



ბავშობიდან დიდი ჰქონდა მას სწავლისა სიყვარული:
სურდა სწავლა შეეძინა, გაეხარა მშობლის გული.
ლექციებზე მიიჩქარის წიგნებითა დატვირთული,
რომ გამოსცნოს სიცოცხლისა ამოცანა მეტად რთული



თბილისია. სადგურიდან გამოვიდა ათანასე.
ამდენ ხალხში არა სჩანან არც ძილიხან, არც მანასე.
—კრება არის, ან ქორწილი,—მიტომ არის ბევრი ასე..
რა მინდოდა, რომ წამოვედ... სოფელი ვერ დავაფასე:



დერეფანში ბაზრობაა—იაფია სიყვარული.
ხედავს: ყველა ქალი, ვაჟი ფიქრით არის დატვირთული.
ლექციებზა არ ისმენენ,—მაინც ჰხარობს მათი გული.
დაქორწინდენ ჟერ თუ არა?—ყველას სტანჯავს კი-
თხვა რთული.



მთა წმინდიდან გადმოსცქერის თბილისს ქალაქს ათანასე.
„უცხოეთში“ ენატრება ძილიხანი და მანასე.
—მა, ხალხები!—და ჩემს ბინის რად გაჭირდა შოვნა ასე?!
ჩემი ქოხი მთელ თბილისად მხოლოდ ახლა დავაფასე.



მასაც გულში ჩაუფრინდა ერთი ქალის სიყვარული.
დიდხანს იყო ათანასე კაეშანით დატვირთული.
გამოეწყო... მოიკაზმა... აუცრუვდა წიგნზე გული,
და მან ასე გამოიცნო ამოცანა იგი რთული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ს. ვანი
(ზომლეთის თემი, გურია)

ტარტაროზ, ესე ამბავი,
შენც რომ გაიგო მწყურია...
დაინაშაევნი ვინც არის
მაგრად აუწი ყურია.

—

შენც კარგად მოგეხსენება—
სიმინდი ჩვენში ძვირია;
ვისაც აკლია—ყიდულობს,
რაც მეტისმეტად ხშირია.

—

ერთ დღეს გაისმა ხალხში ხმა—
სიმინდი იყიდებაო..
მაგრამ როცა იქ მივიდენ
უთხრეს—დღეს არის კრებაო...

—

გახსნეს კრება და სიტყვები
წარმოსთქვეს მეტად გრძელია:
—ახალს ავაგებთ... არ გვინდა
ჩვენ სამკითხველო ძველია.

—

გადაწყდა საქმე—ქვის დავდგათ,
ადვილი საშოვნელია...
ხმა აუმაღლა ანტონმა:
„ძმებო, ავსწიოთ ხელიაო“.

—

კომისიასა მიანდვეს—
რომ გამონახოს ფულია
(შეწირულებით, ან სხვა გზით)
არ ავიცრუოთ გულია.

—

სწრაფ გამონახეს ტიტიკო—
არტისტი გამოცდილია
(მისი სადარი ჩვენ თემში
საშოვნად არაღვილია).

—

სთხოვეს შალვას და დიანოსს
დაუკრან რამე მარშია...
...და წარმოდგენა გამართეს
საყდრისა გალავანშია
(რომლისა აზავსი, არ მახსოვს
რომ ყოფილიყოს ვანშია).

—

ლატარიასა მოაწყობი
ტიხონი იყო თავია.
შაშურია და სიმონი
ბილეთის გამყიდავია.

—

როს წარმოდგენა ჩატარდა
და დაგვრჩა ცოტა ფულია—
ქვის ოსტატები ბევრი გვყავს,
აძგერდა მათი გულია.

—

ერგო იჯარა ლავრენტის,
ძველი და გამოცდილია,
მაგრამ შაიკით დაძლია
კირილემ. (მიძაშვილია)

—

ქვის მოხელენი იძახდენ:
ლავრენტი არა ვარგაო;
იმის თუ საქმე მივანდეთ
ეს საქმე დაიკარგაო.

—

ყველამ ჩაქოლა ლავრენტი,
კირილეს მისცეს პირია...
ქვა მოიტანეს, მაგრამ ჯერ
არ ჩანს: ცემენტი, კირია...

—

ჯერ ეს ამბავი იკმარე,
შედეგს გაცნობებ აწია;
შენც მოისმინე, ტარტაროზ,
ეს ჩვენი გაწამაწია.

მოყვინტუკი.

# კინო სოფლად



ჩვენს სოფელში აჩვენებდენ კინო სურათს. როცა ეკრანზე მატარებელი გამოჩნდა, შეშინებულმა ძაღლებმა ყეფა დაიწყეს; მაგრამ ძაღლებზე არა ნაკლებ შეშინებიათ ზოგიერთ სოფლელებს, რომლებსაც მატარებელი ჯერ კიდევ არ ენახათ.

**ჰოი—ჰოი, ჰოი... ეს არის დაგვეჯახა და გაგვჭყლიტა... პირდაპირ ჩვენსკენ მოჰქრის... არიქა, თავს უშველოთ... ვაიმე, ცოლო, შვილო—** ჰყვიროდენ და გარბოდენ ისინი.

# ღია წერილი
### შვილს

ჩემო გამაუბედურებელო, გამაბახებელო და სასირცხვილო შვილო, თედორიავ!

ამის მეტი არ გეღირსა მამაშენიდგან გალაპარაკება, ვაი შენ დაგესხა თავსხლაფი თავზე, რავა შენ მომჯაყე და შემარცხვინე ყველასთან.

ბიჭო, თუ ამდენ ვალს ლებულობდი და ქვეყანას სტყოდი მამაძაღლურათ ამდენ ფულს—რას უშობოდი შენ დალუპულო?! სახლში ერთი კაპეიკის აფერი მოგიტანია; შენდგან მე ჯერე ერთი ნიფხავ პერანგი, ერთი წუღა არ მახსოვს... იგი კი არა—სახლიდგან ძურწავდი ჩემს თავმონაყარს. ოი, არამათ იყოს, შვილო, შენზე ჩემი ამაგი.

ახლა რომ მომადგა აგი მევალიები, ჯერე მეზობლები და მერე შორიდგან.. წერილი წერილზეა. ოზურგეთში ვალერიანა თოთიბაძის დუქანში ყოველ დღეა შენთან გამოგზავნილი წერილები. კაი ქება გიწერია შით კაი შენს ცხვირს მოუვა, შენ გვარის და ოჯახის მომჯაყველო.

იცოდე დღეიდგან ტყუილათაი მამაშენის სახელს და გვარს ნუ ატარებ, თვარა, ღმერთმანი, რას გიზამ არ ვიცი... თუ კი გაგიგე—სად იგდიხარ, ყველაყას უნდა გავაგებიო შენი სიკეთე და პატიოსნობა. შენ რომ ჩვენი სოფლის კოოპერატივის და კლასის ფული შეყლაპე, ახლა შენგან გადილეს და გითამამდენ სხვები და რაცხა ორი კაპეიკი ეგდო კლასის ასაშენებელი,—დღეს ვინ ჭამს და ვისთანაა, კაცმა არ იცის. უბედურმა დედა შენმა სამუდამოთ გამოგიტირა და აწე იქეთ ჩემს თვალებს არ გაეკარო. თუ მოგიცდა ფეხი აქით, ტყავს გაგაძრობენ... მარა შენდა სულ ერთია: ნუ გეშინია არ შეგრცხვენს, შენ იხტიბარგარეცხილო; ქესტი გიფარია შუბლზე, ქესტი. რამდენ ხანს იქნები ასე დამალული და რით ირჩენ თავს, თუ ვიცოცხლე, მაგასაც კი ვნახავ: თუ ღმერთმა მქნა და მოვკტი შენისთახაი შვილის პატრონი,—პირდაპირ ცხონება იქნება, ღმერთი თუ მწამებია.

შენგან თავმოჭრილი ბეჟუკა.

ყირიმტარტარი.



# ცოცხალი საყვირი




**კინტო** (დილით ადრე მიდის ქუჩაში და ჭყვირის) დული... დული... ოჭ—ჭო—ჭო... რა დულია, რა დული... ვინც არ იყიდის—ან დღე მოკვდება, ან ღამე... ჭო—ჭო—ჭო—ჭო, რა დულია, რა დული... უშვილობის წამალია, მთ იყიდე ამალია.

**მილიციონერი** (გამოედევნება და წინ გადაუდგება) რა გყვირებს თავგასტეხილსავით?!. ვერა ხედავ—ჯერ ადრეა და შენი ყვირილით აღვიძებ ყველას!?

**კინტო.** ვაჰ! ტავარიშჩ, ზაჩემ შუმიში?.. მე თუ ორთაჭალიდან კი მოვსულვარ აქა, ესენი ამდენხანს ლოგინიდან ვეღარ ადგნენ? ეხლა, ტავარიშჩ, „პაკალუსტა“ ხალხი ხომ არ არის!.. ვსე რაბოჩი ნაროდ, და რაბოჩი ნაროდ კი დილით ადრე უნდა დგებოდეს და სამუშაოზე მიდიოდეს

# სატარტაროზო

## „ნორმაზე მეტი“

(ზუგდიდი)

ქალაქის ბაღი იმდენად გამშვენიერდა, რომ გადააჭარბა ოთხსწინადროინდელ სიმშვენიერეს. ნორმალურ სილამაზის მისაცემად, შეუდგენ მცენარეულობის ამოგლეჯას და ტოტების დაჭრას.

## „დიპლომატიამ გასჭრა“

(იქედანვე)

ბაზარი აკლებული იყო ღორების მიერ. ღორებთან მებრძოლი საზოგადოების თავმჯდომარე გიგო ვერაფერს გახდა ღორებთან მუქარით და ბრძოლით, მიუხედავად იმისა, რომ მას გრძელი ხანჯალი ჰკიდია წელზე. ბოლო დროს მან გამონახა ხერხი: ღორების პატრონები მიიპატიჟა, კარგი ქეიფი გადაუხადა, და ამ საშუალებით მან ზავი ჩამოაგდო ღორებთან, რომლებმაც პატრონების იძულებით დროებით დასცალეს ბაზარი.

ცვანტი.

## მიხედეთ ლონგინოზს

სოფ. კვაშხიეთი (რაჭის მაზრა)

წელს კვაშხიეთში ცუდი მოსავალი იყო, რასაც მამა ლონგინოზი ღვთის წყრომას აწერს, რადგან ეკლესიები ყველგან გაიხსნა და აქ კი არაო, [illegible] ბი, რომლებმაც მიიწიეს [illegible] ნაწილი. ეკლესიის საზეიმო გახსნა მოხდება ცხრა მღვდლების თანდასწრებით; უნდა დაიკლას ცხრა თუშური ცხვარი. საბა ლეკვაშვილმა უკვე იყიდა შესაწირავად ცხვარი, მაგრამ გადაცვლას აპირებს, რადგან ცალ ფეხზე სატკივარი აღმოაჩნდა ცხვარს.

## „კანდიდატი“

იქედანვე

ახლად დაარსებულ კოოპერატივის გამგეთ ვანო შკულია ასახელებს დიაკონ გასილს, რომელიც ძალიან ყოჩაღი ყოფილა ვაჭრობაში. ამას ადასტურებს აგრეთვე მამა ლონგინოზი, რომელიც ამბობს:—როცა გავაგზავნიდი მიცვალებულის ჭირისუფალთან სამარხის ფულის მოსატანად, გაწბილებული არასოდეს არ დაბრუნდებოდა—ყოველთვის იმაზე მეტს მოიტანდა, რაც დაბარებული მქონდაო.

ჯანი.

## „თხის დამკვლელი“

(ჯურუყეთი)

ლაზარეს ისე უყვარს კარტის თამაში, რომ—როცა მოთამაშე არა ჰყავს, ცხოველებს ეთამაშება.

მან ერთ მშვენიერ დღეს დაიჭირა მეზობლის თხა, მიაკრა ხეზე და დიდი სიამოვნებით დაიწყო მასთან კარტის თამაში. პირნათლად თამაშობდა, როგორც თავისი, ისე თხის მხრივ. მოგება ერგო თხას. მან სამი მანეთი კისერზე შეაბა და ისე გაისტუმრა მოგებული თხა.

თხის პატრონს, რასაკვირველია, გაუხარდა, როცა თხამ საღამოს მას სამი მანეთი მოუტანა. მეორე დილით პატრონმა თხა იმავე მიმართულებით გაუშვა საბალახოზე—კიდევ მოელოდა რომ თხა ფულს მოუტანდა.

ლაზარემ იცნო მისი მეგობარი და ამხანაგი თხა და ეთამაშა კარტი... მაგრამ ეხლა თხამ წააგო და ლაზარემ მოიგო სამი მანეთი... რადგან თხას ეს ფული აღარ აღმოაჩნდა, ლაზარემ იგი წაიყვანა, მოსჭრა თავი და სამ დღეს იქეიფა.

თხის პატრონმა ეს საქმე სახალხო მოსამართლეს გადასცა.

გამოირკვა, რომ მოგებული ფული თხას სახლში მიუტანია პატრონისათვის და მას კი წაგებული ფული ლაზარესთვის არ მიუცია. ამიტომ მსაჯულმა ლაზარეს მოქმედება კანონიერად სცნო და გაამართლა.

ხუშტური.



## „ინტელიგენტი“ სოფლად



— ნეტავი თუ ხვდებიან, გაზეთს რომ ვკითხულობ?

## ტყიბული

ჩვენს წითელ სასადილოზე
ცუდი რა საკადრისია...
გამგე: პავლე და ისიდორ
მართლაც რომ ქების ღირსია.

ნორმაზე ღვინოს მიცემა
მართლაც რა წესიერია...
რა გენაცვლება დალიონ,
იტეხონ თუნდ კისერია?!

რვა ბოთლი სამსა მუშაზე
ნორმა არავის ჰგონია...
ანდა ასეთი შეცდომა
აქ რაღა მოსაგონია.

გუშინ რომ სამიკიტნოში
მიკიტნად იყო ამქარი,
დღეს „ეპო“-ს სასადილოში
გახდარა „წმინდა ნოქარი“.

ნათლიმამობას და ძმობას
აღარ აქვს დასასრულია...
ბევრჯელ აუგეს სალაროს
წესი და ბოლოსრულია.

მოლაროების მმართველებს
ყურის აწევა სჭირია;
რად არ იციან ამდენხანს
მუშების გასაჭირია.

ეს როდის კმარა, რომ მუშებს
ნორმები უცხონ მრავალი;
უნდა ცდილობდნენ — მათ ჯიბეს
ჰქონდეს რომ შემოსავალი.

გვერაბებს ხშირად მახედონ,
არ მოხდეს რამე მარცხია...
სოსო კი ქალებს კანტროლობს,
თუ ვის როგორი აცვია.

ჯერ ეს იკმარე, ტარტაროზ,
გამოგიგზავნი სხვას მალე...
გთხოვ ყურადღება რომ მიაქციე
რაც ახლა შემოგითვალე.

ხვლიკი.

## საოცარი სამკითხველო!

ოზურგეთის მახლობლად
სოფელსა ლაშე
ცნობილია ჯერ მითაც, რომ
ტბა აქვს გვერდით მლაშე;
ამის გარდა „საქებია“
მისი სამკითხველო,
და თუ დიდით არ შეგაწყენთ
ავსწერ წამკითხველო:
შენობა ჯერ ახალია
ფიცრით „ჩახლართული“,
მაგრამ საქმე სამკითხველოს
არის დახლართული.
შიგ წიგნები არ მინახავს,
გაზეთი აქვს ორი,
ისიც ძველი, რადგანაც გზა
არის მეტად „შორი“
მკითხველებსაც ვერ ნახავთ შიგ,
სოფელს არ სცალია,
„სალობუცოთ“ შევდივართო —
ეს კი მართალია...
მაგრამ ერთი მნიშვნელობა
მასაც შერჩენია.
დილა იყოს, გინდა შუადღე
მაინც არის ღია,
და წვიმის დროს თავშესაფარს
ჰპოვებს თხა და ღორი.
მე თვითონ ვნახე ეს ამბავი
არ გეგონოსთ ჭორი...
გამგეობა არ იღვიძებს,
ის ძალს შეუპყრია
და მათი გამოფხიზლება,
თქვენთვის მომინდვია!...

ი. ჩიქოვანიძე.

## მესტვირული

(ჩიბათიშვილისთვის)

ტარტაროზ, ყური დამიგდე
თუ რად ვამღერებ სტვირსაო.
არ კი იფიქრო — ვსტყუოდე,
უქმად არ ვიტყვი ძვირსაო.
სახალხო სახლსა ვაშენებთ
გადის, ჰა, ორი წელია,
მაგრამ არ იქნა... არ იქნა...
იმედიც გამოგველია.
რა ფული — ფული მოგროვდეს,
ჯიბე შეიქნით სკელია;
სახალხო სახლის დადგმისთვის
არავინ დასძრა ხელია.
ამორჩეულმა წევრებმა
უსარგებლონმა საქმისა
ფულები „ქეიფიმასქნის“,
დარდიც არა აქვთ ხალხისა.
მეტს ეხლა არაფერსა ვთხოვ,
ერთი მაქვს სათხოვნელია:
ამათი ზურგი მაჩვენე
ჩანგლითა ანაჭრელია.
რა კი მოეყევი თავიდან
ჩიბათის გმირთა ქებასა,
ვუსურვებ თქვენსა ჩანგალსა
მათ ზურგთან შეთანხმებასა.
როცა დამჭირდეს, მათხოვე
ეს შენი გუდა სტვირთა,
რომ ყველას მოულოდნო,
ვინც ჩვენში მავნე პირია.

მიშა.

## ზ ე პ ო

სურამისა „ეპო“-ო
შენ დაგიდგეს მახეო.
დაჰკარგე და აღარ გაქვს
შენ გლეხური სახეო...
შენ, რომ სასადილო გაქვს
ამასწინად ვნახეო.
ზეზო ჩაჯიბაშვილი
კარგად შეინახეო...
ფულს ჯიბეში ჩაჯიბავს
თითქოს უსვამს წყლისა...
გორიდანა ესტუმრენ
ძმა ბიჭები ზეზოსა..
ვიჟ მაყრები მიადგნენ
ღვინის სარდაფს ემთხ-ს*)
და სხვადასხვა ღვინოსა
უსინჯავდნენ გემოსა...
ფაეტონის „კოზლაზე“
წამოსკუპდა დამთვრალი;
გააჭენა ქუჩებში
მან ცხენები დაფრთხალი...
ვაიმე ჩვენო „ეპო“ ო.



„ზულზე გასვლა“.

*) ერთიანი მომხმარებელი საზოგადოება — „ეპო“.



# უფსკრო გოდორიდან

ნიკოლოზიკას. თქვენ გვწერთ, რომ— გიორგი დადიანის ტუკვაძეები ლალაქები არიან და ამავე დროს ექიმბაშობასაც ეწევიანო. — ჩვენ მათ წინააღმდეგ მივიღებდით ზომებს, მაგრამ ნება არა გვაქვს, რადგან თქვენში ასეთი რამეები, როგორც ჩვენ სარწმუნო სარწმუნოებიდან გავიგეთ, ნებადართული ყოფილა.

შამფურს. მამა უცხონდა (თუ მკვდარია ჰყავს) არხიტექტორი ირაკლი; ძალიან კარგად მოქცეულა, და თქვენ ტყვილად უსაყვედურებთ. ხალხი ახლა ფეხსადგილში უფრო ხშირად დადის, ვიდრე იქ, შენ რომ იცი (ლოცვლებმა არ გაიგონონ, თორემ ეწყინებათ).

გოჩუნს. შე კაი კაცო, ექვსი მანეთის მეტი თუ არ შეუჭამია კომისიის თავმჯდომარეს, მადლობა უთხარით. განა არ იცი ახლა როგორ მადიანად მიირთმევენ სახაზინო ფულებს!

ჯადოხანს. ტარტაროზი ეთანხმება სასამართლოს ზარინძის გამტყუნებაში. საქმე ამით მოისპოს.

ხილოვანის მოსწრებულს. (ოზურგეთი) ბათუმელ და ოზურგეთელ ლორებს შორის ჩვენ ვერ ვნახულობთ ვერავითარ განსხვავებას. ხოლო მათ შორის მსგავსება დიდია. ბათომში რომ ღორს ხედავთ, რატომ ვერ ხედავთ ოზურგეთში ლორს?.. არ ვარგა ასეთი კუთხური ლორმოყვარეობა.

მანძილი ტარტაროზის მაგიდიდან უფსკრო გოდრამდე იმდენია, რამდენიც უფსკრო გოდრიდან ტარტაროზის მაგიდამდე. ეს თუ თქვენ არ გჯერათ—შეეკითხეთ თქვენს წერილს და ის გეტყვის.

არტურს. (ლანჩხუთი) გადაჰკრა შენმა წერილმა „ზედაშე“ და კისერტეხით წავიდა გოდორისკენ.

მედგარს. შენ ერთი დარჩენილხარ და, მერე, შენც მიიღე მონაწილეობა. ქეიფი, თუმცალა სახაზინო ფულებით სჯობია, მაგრამ როცა ამის შესაძლებლობა არ არის, საკუთარ ფულებითაც არა უშავს.

„გორის შეყვარებულს“. (ასკანა) თქვენმა „გორიზბია“ მიგორა და ჩაგორდა უფსკრო გოდორში. საყვარლის სხვებს დასცინით და უკრძალავთ, თვითონ კი „შეყვარებული“ ყოფილხართ. (ალბად თქვენც ხართ სოფია გაუთხოვარიძეს კურსებზე).

კაკოს. (ოზურგეთი) უსაყვედურებ მსახიობებს, რომ ისინი პარტერში დადიანო. როცა მაყურებელი არ არის, აბა როგორ უნდა მოიქცენ?

თუმცა თეატრში სამასი მაყურებელი მაინც არის, მაგრამ სალაროში ბილეთებიდან შემოსული ფული არასოდეს არ აღწევს ოც მანეთსო... შე კაი კაცო, თუ ვინმე კი დაესწრება მაქაურ წარმოდგენებს, ფული პირიქით უნდა მისცეთ.

თქვენი ვინაობის გასაცნობად ასე გვწერთ:

მე ვარ ქართ. დრამის მსახიობი საუბედუროდ.
გეთანხმებით – მართალს ამბობთ.

ტიმკოს. (წითელი ქალაქი) თუ კუჭი გტკივათ, მიმართეთ თქვენს კბილის ექიმს.

ქრისტიანს. როგორ გეკადრებათ ქრისტიან კაცს ასეთი საქციელი!
მამა უცხონდა თუ „ძალიან მოგცხო“, ხოლო თუ ცოტა,—შეაგ ტყოპინეთ და დანაკლისს ჩვენ შევისრულებთ.

აგრაფინა ჭოჭუას. (სამტრედია) თქვენი წერილი ბევრჯერ მივიღეთ, მაგრამ ვერც ერთხელ ვერაფერი მივხვდით. რა გინდათ, რას თხოულობ? „ბატონო“, „ბატონო“ არ არის საჭირო. მოგვწერეთ გარკვევით, თუ რაშია საქმე.

„შენი ხმრაქხიას“ (ალბათ ოზურგეთში, რადგან იქ მასწავლებლობ). თქვენი „გიგანტიური სისულელე“ „გიგანტიური ნაბიჯით“ წავიდა უფსკრო გოდრისკენ, სადაც „С нетерпением ждали, как птичка лета“. (გვშენებულვართ—თქვენ თუ მასწავლებელი წავიდ-ლი ხართ).

„ვარცვიცა“. მირიან კაკურიაზე გვწერთ: ის დადის და თან ჩურჩულებს „სადიდებრო“ საქმეებსა, რომ ვილაცას ვილაც უყვარს და სხვა წვრილმანს ამბებსა“.

რატომ გგონიათ, რომ საყვარელი „სადიდებრო“ საქმეა და წვრილმანი! თუ კი ასეთია, თქვენ რატომ არ თაკილობთ?

წერილის ბოლოში ასე გვწერთ: „გთხოვთ გაატაროთ ეს წერილი რედაქციაში“. ავასრულეთ თქვენი თხოვნა: გავატარეთ რედაქციაში უფსკრო გოდრისკენ გადაგზავნის დროს.

ბზიკს. (დიდი ვანი. გურია) ნუ თუ არ გაგიგონიათ თქვენ:—ყვავს რომ საზამთრო გააგდებინო, ისიც საქმეაო... ჩვენ ინტელიგენციიდან მაგის იმედიც არ გვქონდა. კიდევ კარგი, თუ მანდ წითელი ღვინო შეესვეს და თქვენ არაფერი დაგრჩათ.. თქვენ აღარ შეგეძლებათ დათრობა და ესეც კარგი საქმეა.

ზოლოკს. თავი არ ვარგა, ბოლო კი,.. როგორც თბილისში ახლადჩამოსული, ქვის კენჭი უნდა გადაგეყლაპათ და ამდენი დავიდარაბა აღარ შეგხვდებოდათ.

ჩორნას. თქვენი წერილი ისე გრძელი იყო, რომ როცა ვკითხულობდით მაგიდაზე არ დაეტია და მისი ბოლო უფსკრო გოდორში გადასულიყო. იქ სხვა წერილებს დაუმეგობრდა და მათთან ყოფნა ამჯობინა, ასე, რომ მრავალი ჩვენ არაფერში დაგვიდოთ.

---

## წერილი ტარტაროზის მიმართ

ვინაიდან დიდი ინტერესი მქონდა ჟურნალ „ტარტაროზის“ თანამშრომელი ვყოფილიყავი, ამიტომ გამოვაგზავნე განცხადება და ორი კორესპონდენცია.

რაღაც ჩემდა საუბედუროთ ერთი კორესპონდენცია შეეხებოდა ქ. ზუგდიდის სამკითხველოს. კორესპონდენციის გამოგზავნა შეუტყვია აქაურ სამკითხველოს გამგე ქალს სიჭინავას და ისეთი ამბავი ამიტეხა, რომ შიშით აღარ ვარ კაცი. ჯერ გამლანძღა, მიწასთან გამასწორა.

„ — როგორ გაბედე შე გლახაკო და ასეთი დიდი შთამომავლობის პიროვნების, ასეთი დიდი პროტექციის პატრონ ქალის შესახებ რამის დაწერაო“. შემდეგ დამემუქრა:

„ — თუ კორესპონდენცია დაიბეჭდა, ქუსლებით გაგჭყლეტაო.—

ამიკრძალა სამკითხველოში შესვლა, როგორც თავის სამფლობელოში. ამ რიგად ვიმყოფები აუცილებელ საფრთხეში. სასო წარკვეთილი გთხოვთ მიშველოთ რამე. ყოველივე ზემოდთქმულს ისმენდა და ხედავდა რამოდენიმე პიროვნება.

ფიდოტი ჯ...ქია.

„ტ ა რ ტ ა რ ო ზ ი“-საგან. ნუ გეშინია, გამაგრდი. საუბედუროდ ის თქვენი წერილი არ ვარგოდა და გოდორში გადაუძახეთ. რომ ეს გვცოდნოდა—აუცილებ ლად გაუშვებდით... მადლობა უნდა გვითხრა, რომ გადაგარჩინეთ. წერილი არ დაბეჭდილა და რას გაიგებს, რასაც სწერდი მასზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გამოიწერეთ თქვენი გაზეთი

# „მუშა"

ორკვირეული
იუმორისტული ჟურნალი

# „ტარტაროზი"

მისი უფასო დამატებაა

## არ-დარჩეთ უგაზეთოდ და უჟურნალოდ
## კიდევ მიიღება ოქტომბრისათვის
## ხელისმოწერა

რედაქცია და კანტორა: რუსთაველის პროსპექტი № 24.

## პროვინციებმა მიმართეთ ჩვენს განყოფილებებს

ს. ს. მ. ჟ. ს. პოლიგრაფტრესტის 1 ლი სტამბა ტფილისი, პლეხანოვის პროსპ. № 91.